ოქსფამის კონკურსი საუკეთესო აკადემიური ესესთვის გენდერულ ჭრილში სასურსათო უსაფრთხოებისა და მცირე მეურნეების მხარდაჭერის შესახებ

ოქსფამის საქართველოს წარმომადგენლობა აცხადებს ესეების კონკურსსსაქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის. კონკურსის მიზანია, სტუდენტებმა შექმნან ნაშრომი, რომელიც, ახალი ხედვების, წინადადებებისა და ინოვაციური იდეების საფუძველზე, მცირე ფერმერების გაძლიერების გზით, არსებული სასურსათო უსაფრთხოების საკითხების მოგვარებას შეეცდება. განსაკუთრებული აქცენტი კი გაკეთდება ქალებზე, რომლებიც სოფლის მოსახლეობის 54 %-ს წარმოადგენენ.

ოქსფამის საქართველოს წარმომადგენლობისთვის მნიშვნელოვანია წარმოდგენილი ესეები სასურსათო უსაფრთხოების ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი კვლევითი მასალის გააზრებულ და ლოგიკურ ანალიზზე იყოს დაფუძნებული. სტუდენტებმა 5 გვერდიანი ნაშრომით უნდა წარმოაჩინონ ინოვაციურიიდეები და რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა და გაიზარდოს ადგილობრივი წარმოება მცირე მეურნეების (600,000 მცირე ფერმერი) გაძლიერების გზით.

გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ყველა რისკისა და სხვადასხვა რეალობის გათვალისწინება და ისეთი გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც სასურსურსათო უსაფრთხოებასაც მოიცავს. ასევე მნიშვნელოვანი ასპექტია საზოგადოებრივი ინვესტიციების გათვალისწინებაც. ასეთი ინვესტიციები აძლიერებენ იმ მცირე მეურნეების პოზიციას, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის ნახევარს წარმოადგენენ და სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებაში დიდ როლს თამაშობენ.

აგრარული, ეკონომიკური ფაკულტეტების სტუდენტებსა თუ გენდერის ახალგაზრდა მკვლევარებს საშუალება აქვთ, გახდნენ სასურსათო უსაფრთხოების ჩემპიონები და დააკვირდნენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, უზრუნველყონ მთავრობა იმ იდეებითა თუ პროექტებით, რომლებიც მცირე მეურნეებისა და ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერას ეფუძნება.

სამი საუკეთესო სტუდენტური ნამუშევრის ავტორებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო 1,000 ლარის ოდენობით.

საქართველო

დაჯილდოვდება ნამუშევარი, რომელიც ჩამოთვლილი თემატიკიდან ერთ-ერთს შეეხება:

1. **არის თუ არა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები უმნიშვნელოვანესი საქართველოში მცირე მეურნეების განვითარებისთვის?**
   a. *როგორ შეიძლება, რომ,კოოპერატივების შედეგად, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა და მცირე მეურნეების შემოსავალი გაიზარდოს?რატომ ფიქრობთ, რომ მცირე მეურნეთა გაძლიერება მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისთვის?*
   b. *რა როლს თამაშობს ამაში მთავრობა? როგორია მცირე მეურნეების ზოგადი დამოკიდებულება კოოპერატივების მიმართ? რატომ არის კოოპერატივებისთვის გენდერული კუთხით მგრძნობიარე პოლიტიკის გატარება მნიშვნელოვანი?*
   c. *კოოპერატივებში ქალი მეურნეები თანაბრად არიან წარმოდგენილი? როგორ ხედავთ ქალ ფერმერთა როლს/წვლილს სოფლის მეურნეობის სისტემის განვითარებაში? რა კონკრეტული ბარიერების წინაშე დგებიან ქალბატონები?*

2. **ვაჭრობის ლიბერალიზაცია - საფრთხე თუ შანსი საქართველოს მცირე მეურნეებისთვის?**
   a. *არიან მცირე მეურნეები მზად იმისთვის, რომ თავიანთი პროდუქტით , ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე, სხვებს კონკურენცია გაუწიონ? როგორია დღეს არსებული სიტუაცია?*
   b. *რა მექანიზმები უნდა გამოიყენოს სახელმწიფომ იმისთვის, რომ ადგილობრივმა მწარმოებლებმა თავიანთი პროდუქციის მარკეტირება და კონკურენციის გაწევა შეძლონ თავისუფალი სავაჭრო სივრცის პირობებში? ? რატომ უნდა იყოს სახელმწიფოს ინტერვენცია გენდერული კუთხით მგრძნობიარე?*
   c. *რა უნდა გააკეთონ ადგილობრივმა მწარმოებლებმა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად?*

3. **სოფლის მეურნეობაში ჩართული სოფლის მოსახლეობის 54 პროცენტს ქალები წარმოადგენენ. თუმცა, ისინი კვლავ მარგინალიზებულ ჯგუფს ეკუთვნიან და უძლურებას განიცდიან. თქვენს ესსეში, გთხოვთ, წარმოაჩინოთ თქვენი ხედვა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს ქალთა ეკონომიკური მონაწილეობა და მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში:**
   a. *გამოკვეთეთ ყველა შესაძლო გენდერული ბარიერი, რომლებიც აფერხებენ ქალების გაძლიერებას;*
   b. *კურლტურული სტერეოტიპების გარდა, გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი ხედვა, თუ რა ტიპის წვლილი უნდა შეიტანოს ხელისუფლებამ ქალების ეკონომიკურ*

გაძლიერებაში (გენდერული ნიშნით გაცემული სასოფლო-სამეურნეო სესხები, მექანიზაციაზე ხელმისაწვდომობა, ცოდნის ხელმისაწვდომობა...);

c. *წარმოადგინოთ თქვენი იდეები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება წახალისდეს ადგილობრივი მთავრობები და კერძო ბიზნესები იმ კუთხით, რომ მათ ქალების ეკონომიკური მონაწილეობის მხარდასაჭერად ითანამშრომლონ.*

<u>შეფასების ძირითადი კრიტერიუმები</u>

1. **ოქსფამის კვლევების ანალიზი :** ყველა ზემოთაღნიშნული თემა ეფუძნება ოქსფამის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ ჩატარებულ ბოლო კვლევებს, რომლებიც განხორციელდა 4 წლიანი კამპანიის „ეროვნულისასურსათოუსაფრთხოებისსტრატეგიისსრულყოფადამცირეფერმერებისმ ხარდაჭერასამხრეთკავკასიაში“ ფარგლებში. მონაწილეები თავისუფალი არიან გამოიყენონ ოქსფამის კვლევების გარდა სხვა არსებული მასალებიც.

2. **ორიგინალობა:** იდეის ან მისი მნიშვნელობის, თემის, შესრულების, ინიციატივისადა ესეში წარმოდგენილი მასალისორიგინალობა.

3. **წერის სტილი და თხრობის სიზუსტე: დეტალები, რომლებიც მკითხველს აინტერესებს, პასუხობს მის შეკითხვებს. ესე არ უნდა აღემატებოდეს 5 გვერდს და დაწერილი უნდა იყოს მშობლიურ ენაზე.**

<u>კონკურსში მონაწილეობის ძირითადი წესები და პირობები</u>

1. კონკურსის მონაწილე უნდა იყოს მინიმუმ 18 წლის და, ამავდროულად, საქართველოს ან სომხეთის აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი.
2. საკონკურსო ესე, მოკლე ბიოგრაფიასთან ერთად, უნდა გამოიგზავნოს ელ-ფოსტაზე:TRevazishvili@oxfam.org.ukნამუშევრის წარდგენის ბოლო ვადამდე, 15 ივნისამდე.
3. საკონკურსო ნამუშევრები შეფასდება 15-30 ივნისის პერიოდში.
4. დაჯილდოების ცერემონია გაიმართება ივლისში, ქალაქ თბილისში. დეტალური განრიგი თითოეულ მონაწილეს ინდივიდუალურად მიეწოდება.
5. გამარჯვებულები მიიღებენ ფულად ჯილდოს 1,000 ლარის ოდენობით, საბანკო გადარიცხვის სახით.
6. საუკეთესო ნამუშევრები გამოქვეყნდება სასურსათო უსაფრთხოების ვებ-გვერდზე: www.foodsecuritysc.com

ჟიურის შემადგენლობაში იქნებიან სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ოქსფამის საქართველოს წარმომადგენლობის, „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების ალიანსის“ (GAARD) და მისი წევრი „ქართველ ფერმერთა ასოციაციის“მაღალკვალიფიციუური წარმომადგენლები. ოქსფამის საქართველოს

წარმომადგენლობა უფლებას იტოვებს, არ გაამხილოს ჟიურის წევრების ვინაობა დაჯილდოების ცერემონიამდე.